საბავშვო მოთხრობები შუამავალი -4

# ჩვენები

## საზაფხულო ბანაკში-4

# მოწოდება ისლამისკენ



## ჩვენები საზაფხულო ბანაკში (4)

# მოწოდება ისლამისკენ

ომერს ჯერ კიდევ არ მოსვლოდა ძილი. ის კარვის წინ იჯდა. ხელში პატარა ჯოხი ეჭირა და ხიდან ჩამოვარდნილი ფოთლით თამაშობდა. საკმაოდ გრილი საღამო იყო და ომერსაც ცოტა შესცივდა. ეს როგორი ზაფხულის ღამეაო, ფიქრობდა. უცებ ხელზე წვიმის წვეთი დაეცა. მან თავი ასწია და ცას შეხედა. ამჯერად ორი წვეთი დაეცა შუბლზე. ჯერ ნელა დაიწყო წვიმა, მერე კი თანდათან მოუმატა. ომერი გაოცდა. კარავში რომ შედიოდა ალი დაინახა. წვიმის ხმას ისინიც გაეღვიძებინა.



წვიმა რომ უფრო გაძლიერებულიყო წვიმის წყალი კარავში შეაღწევდა. ბავშვები წვიმისა და ქარის ხმამ გაღვიძა. რამოდენიმე ბავშვი კარვიდან გარეთ გამოვიდა. ქარი კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

- ყველანი კარავში შედით. ცივა. შეიძლება გაცივდეთ. უთხრა ბავშვებს ალიმ.

ალი, მეორე ბანაკის მეთვალყურესთან ერთად ბანაკის მიმდებარე ტერიტორიის შემოვლას აპირებდა. ომერი ძალიან ეხვეწა და მათთან ერთად წავიდა.

წვიმა ხანმოკლე აღმოჩნდა.

- წადი დაიძინე ომერ, თორემ დილას ველარ გაიღვიძებ. უთხრა ომერს ალიმ.

- კარგი. ახლავე დავიძინებ. უპასუხა ომერმა.

წვიმამ გადაიღო, მაგრამ ქარი ისევ საშინლად ქროდა. ქარის გამო კარვები და ხის ტოტები ირხეოდნენ. ბავშვებს კი ძილი უკვე დაფრთხობოდათ. ქარის ხმა ბავშვებს ცოტათი აშინებდა კიდეც. ზოგი მათგანი რაღაც საშინელ ამბებს ყვებოდა. მათთვის ეს შიში ერთგვარი თავგადასავალი იყო. ბანაკის მეთვალყურეები ალი და ბურჰანი ხვალინდელი პიკნიკის მოწყობის გეგმაზე ფიქრობდნენ. წვიმა რომ ყოფილიყო ხვალინდელი პიკნიკი გადაიდებოდა. ბუნერივია ბავშვებს ეს ამბავი სულაც არ გაახარებდა.



ღამისგან განსხვავებით დილით ცხრათვალა მზე ანათებდა. ე.ი. პიკნიკი არ გადაიდებოდა. ბავშვებმა დილის სპორტი მოამთავრეს. ამის შემდეგ კი კარვების გარემო ორჯერ შემოირბინეს. ამ ყველაფრის შემდეგ კიდეც დაიღალნენ და ძალიანაც მოშივდათ. საუზმე ძალიან გემრიელი იყო და მადიანად მიირთვეს. ჯერი მიდგა გარშემო დაყრილი ნაგვის ალაგებაზე. ბავშვებმა ბანაკის დანაგვიანებული  ტერიტორია კარგად დაასუფთავეს.

ამასობაში პიკნიკის დროც მოვიდა. ბავშვებმა ბურთები აიღეს, ხოლო ბანაკის მეთვალყურეებს ხილის წვენი მოჰქონდათ თან.

ბავშვები ხეებს შორის მხიარულად მიდიოდნენ და სიმღერებს მღეროდნენ. პიკნიკზე სხვა ჯგუფებიც მოდიოდნენ.  ომერს ეს ძალიან ახარებდა. ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა მეგობრებს. ტყიანი გზის შემდეგ ორ პატარა გორაკს შორის გაიარეს.

გზაზე ძველი შადრევანის ნანგრევები შეხვდათ. ეს იყო მარმარილოს ნანგრევი, თუმცა წყალი აღარ მოდიოდა. უძველესი ორნამენტები და ჩუქურთმები ძლივსღა ეტყობოდა. ახალი რომ იყო ლამაზი იქნებოდაო, ფიქრობდნენ ბავშვები. გზა საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა. დავიღალეთო, წუწუნებდნენ ბავშვები. თან ძალიანაც ცხელოდა.

- ცოტაც გაუძლით ბავშვებო, ცოტაღა დაგვრჩა, უთხრა ბავშვებ ალიმ.



ბოლოს, როგორც იქნა პიკნიკის ადგილს მიაღწიეს. ადგილი მართლაც შესანიშნავი იყო. ახლოს, მთიდან დაშვებულ პატარა ხევში სუფთა წყარო მოედინებოდა. ტყეში კი ჩიტების მხიარული ჭიკჭიკი ისმოდა. ბავშვებს ძალიან მოეწონათ ეს ადგილი. ჩანთები მოიხსნეს და მწვანე კორდზე ჩამოსხდნენ. ამასობაში სხვა ჯგუფებმაც მოაღწიეს. ომერი მაშინვე ქერიმთან მივიდა და მალე მათ ბეთული და სელმაც შეუერთდნენ.

- პიკნიკზე რაღაც სიურპრიზი გელოდებათო გვითხრეს, ნეტა რა უნდა იყოს? თქვა სელმამ.

- არა, თქვა მეჰმედმა. სხვებმაც უარყოფის ნიშნად თავები გააქნიეს.

ბოლოს მუსტაფა მასწავლებელმა სიურპრიზი განმარტა.



- ბავშვებო, ვიცი, რომ სიურპრიზს ელოდებით. თუმცა გარწმუნებთ, რომ ლოდინს ნამდვილად ღირს. ბავშვებო, ამ პიკნიკზე თქვენი ოჯახებიც დავპატიჟეთ. ვფიქრობ უმეტესად თქვენი დედიკოები მოვლენ. მათი ავტობუსი უკვე მოსულია. ასე რომ მალე შემოგვიერთდებიან.

ბავშვებს ეს სიურპრიზი მართლაც მოეწონათ. ყველა აღტაცებული ალაპარაკდა. ყველა ამბობდა თუ როგორ მოენატრათ თავიანთი მშობლები. პიკნიკის ადგილას მხიარული ჟრიამული ისმოდა.



როდესაც ოჯახები პიკნიკის ადგილას მივიდნენ იქაურობა დღესასწაულს დაემსგავსა. ეს ჟრიამული დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა. ბავშვებმა და მშობლებმა ერთმანეთის მოკითხვა და მისალმება დაამთავრეს და თითოეული ოჯახი ცალკ-ცალკე განთავსდა. მშობლებს ბავშვებისთვის ნამცხვრები და ნაზუქები წამოეღოთ თან. ეს კი ბავშვებისთვის მეორე სიურპრიზი იყო. ამასობაში ბანაკის მეთვალყურეებმა ხილის წვენი ჩამოარიგეს. გარშემო მწვანე ბალახის სუნი ტრიალებდა და არემარეს ჩიტების ჭიკჭიკი ავსებდა. ასე დაიწყო პიკნიკი. მუსტაფა მასწავლებელი თითოეულ ოჯახთან მიდიოდა და ცდილობდა ყველასთვის ყურადღება მიექცია.

მეჰმედს, სალიჰს და სელმას მხოლოდ დედიკოები ჩამოუვიდნენ. ქერიმს კი ორივე მშობელი ეწვია. ბეთულის კი მხოლოდ მამა იყო მოსული. ბეთულისაც მხოლოდ მამა მოსულიყო. ასევე ომერსაც ერთი მშობელი მოუვიდა, დედა. თუმცა, სელმას დედა ომერის დეიდა იყო, ამიტომ ომერს დედის მოუსვლელობა დიდად აღარ სწყენია.

მუსტაფა მასწავლებელი მათთანაც მოვიდა და მშობლებს გაეცნო. ქერიმმა მაშინვე მამამისიც გააცნო. მუსტაფა მასწავლებელი მათთან დაჯდა და სელმას დედის მიერ გამომცხვარი ნამცხვარიც გასინჯა.



- მამა, მუსტაფა მასწავლებელი დილაობით სპორტის გაკვეთილებს გვიტარებს და ზოგჯერ საინტერესო თემებზე გვესაუბრება, უთხრა ქერიმმა მამას. შუამავლის ცხოვრებას გვიხსნის.

ქერიმის მამას ეს ამბავი ძალიან გაუხარდა. ეს არდადეგები სახალისო და სასარგებლო ყოფილა.

- ძალიან კარგი შვილო. ძალიან მიხარია. როგორც ჩანს ძალიან საინტერესო და საზაფხულო არდადეგებს ატარებთ. შემდეგ კი მუსტაფა მასწავლებელს მიუბრუნდა:

- გაიხარეთ მუსტაფა მასწავლებელო. ბავშვებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მუსტაფა მასწავლებელმა მომღიმარი სახით ომერს თავზე მოეფერა.



- ბავშვები ძალიან კარგები არიან. ყველა ჩკვიანი და შრომისმოყვარეა. ზოგ რამეს მე ვასწავლი, ზოგსაც მათგან ვსწავლობ. ამბობდა მუსტაფა მასწავლებელი და აქედან ჩანდა, თუ რაოდენ თავმდაბალი ადამიანი იყო ის.

- მუსტაფა მასწავლებელო, ჩვენი შემდეგი სასაუბრო თემა ისლამის გავრცელება იყო, არა? იკითხა ომერმა.

- დიახ, ომერ.

- ახლა რომ გვესაუბროთ არ შეიძლება?

- რა თქმა უნდა შეიძლება, მაგრამ სხვა მეგობრები არ არიან აქ. თუმცა არაუშავს. მათ შემდეგ ვესაუბრები.



– ბავშვებო, როდესაც შუამავალი მექას მოსახლეობას ისლამის რწმენისკენ მოუწოდებდა ბევრი გაჭირვება გადაიტანა. თუმცა არასოდეს დაუყრია ფარხმალი და მოწოდებას განაგრძობდა. შუამავალს ძალიან დიდი მისია ჰქონდა დავალებული და მთელი ცხოვრება ამ მისიის შესრულებას მოანდომა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მუსლიმთა რაოდენობა ძალიან მცირე იყო შუამავალი და მისი მიმდევრები ერქამის სახლში იკრიბებოდნენ. ეს სახლი უცხო თვალისგან მიფარებულ ადგილას იყო და ყურადღებას არ იქცევდა.



ერთ დღესაც ომარი (შემდეგ ხალიფა ომარი) შუამავლის მოსაკლავად გაემართა. იმ დროს ის ჯერ კიდევ არ იყო მუსლიმი. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მოეკლა მუჰამმედი და ამ მიზნით პირდაპირ ერქამის სახლისკენ მიემართებოდა. ომარი ძალიან ძლიერი და მამაცი ადამიანი იყო. მისი ყველას ეშინოდა და ერიდებოდნენ. გზაზე ნუაიმს გადაეყარა. ნუაიმი მუსლიმი იყო, მაგრამ ამას მალავდა. განრისხებული ომარის დანახვაზე ნუაიმმა ჰკითხრა თუ სად მიდიოდა ასეთი გაბრაზებული. მუჰამმედი უნდა მოვკლაო, უპასუხა ომარმა.

ნუაიმი ძალიან შეაშფოთა ამ ამბავმა და ომარისთვის ხელის შეშლის მიზნით უთხრა, რომ თავად მისი და და სიძეც მუსლიმები იყოვნენ და ჯობდა ჯერ მათთვის მიეხედა.

ამის გაგონებაზე ომარი უფრო განრისხდა და პირდაპირ თავისი დის სახლისკენ გაემართა.



კართან მისულმა ომარმა დაინახა, რომ მისი და და სიძე რაღაცას კითხულობდნენ. გააფთრებული შევიდა შიგნით და მათ მოსაკლავად ხმალი იშიშვლა.

ომარის დას არ შეეშინდა და ძმას წინ გაბედულად გადაეღობა. რაც გინდა ის გააკეთე, ჩვენ რწმენას არ შევიცვლითო, უთხრა.

ომარი დის ასეთმა სიმამაცემ გააოგნადა რას კითხულობდით, მოიტანეთ და მაჩვენეთო, უბრძანა. დამ მაშინვე მოუტანა ყურანის აიათები. ომარმა წაიკითხა და მასზე ძალიან იმოქმედა. შემდეგ მიტრიალდა და ერქამის სახლში წავიდა. მის დანახვაზე ყველა შეშინდა. ისინი ფიქრობდნენ რომ ომარი შუამავალს აუცილებლად მოკლავდა. ყველა იქ მყოფმა ხმალი მოამზადა და შუამავლის დასაცავად დადგა. თუმცა ომარმა მისვლისთანავე მუხლზე დაიჩოქა შაჰადა წაიკითხა. ამრიგად ისიც მუსლიმთა რიგებს შეუერთდა.  ამ ამბავმა იქ მყოფნი ძალიან გააოცა.



- ამრიგად ბავშვებო, ომარის გამუსულმანებით მორწმუნეთა ძალები ერთიორად გაიზარდა. უკვე რწმენის დამალვის აუცილებლობასაც ვეღარ ხედავდნენ. ისინი ერთად წავიდნენ ქააბაში და ნამაზი შეასრულეს. ამის შემდეგ მუსლიმთა რიგები უფრო და უფრო სწრაფად იზრდებოდა.

ამასობაში გოგონებმა და მათმა დედიკოებმა პიკნიკის საჭმელები აალაგეს და მუსტაფა მასწავლებლის მოსასმენად მოვიდნენ. მსმენელებს სხვა ბავშვებიც შემოუერთდნენ და სასაუბროდ სულ სხვა ატმოსფერო წარმოიქმნა.

- შეიძლება გავაგრძელო? იკითხა ქერიმმა.

- რა თქმა უნდა ქერიმ, მიუგო მუსტაფა მასწავლებელმა.

- მუსლიმთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. ამის გამო კერპთაყვანისმცემლებს უკვე ძალიან შეეშინდათ. ამიტომ მუსლიმების შევიწროება დაიწყეს. უფრო მეტიც, ისინი მუსლიმების მოკვლასაც კი არ ერიდებოდნენ. ყელა ამ თავდასხმებია და შევიწროების მიუხედავად მუსლიმთა რიგები უფრო და უფრო მეტი ადამიანით ივსებოდა. ურწმუნოებმა გამოსავლის ძიება დაიწყეს. ისინი შუამავლის ბიძასთან, ებუ თალიბთან მივიდნენ და მუჰამმედმა ამ საქმეს თავი დაანებოსო, მოსთხოვეს.



ებუ ტალიბმა ეს ყველაფერი მუჰამმედს მოუყვა. მუჰამედმა კი უთხრა, რომ ერთ ხელში მზე, ხოლო მეორეში მთვარე რომ მისცენ ის ამ ბრძოლას მაინც არ დაანებებდა თავს. აბუ ტალიბმა ნახა თუ რაოდენ დარწმუნებული იყო მუჰამმედი და მისი მხარდაჭერა გააგრძელა. სანამ მე ცოცხალი ვარ ვერაფერს დაგიშავებენო, უთხრა მან მუჰამმედს.

ურწმუნოები მიხვდნენ, რომ მუჰამმედი უკან არ დაიხევდა და მუსლიმთა წინააღმდეგ ბოიკოტის გზას მიმართეს. მუსლიმებს აღარ ელაპარაკებოდნენ, არც არაფერს მიყიდდნენ და არც არაფერს ყიდულობდნენ მათგან. ამ ბოიკოტის გამო მუსლიმებს ძალიან გაუჭირდათ. ეს ბოიკოტი სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ბოლოს რამოდენიმე სინდისიერი მექელის ინიციატივით გააუქმეს.

ამის შემდეგ შუამავლის ყველაზე დიდი მხარდამჭერები, მეუღლე ჰატიჯე და ბიძა ებუ თალიბი გარდაიცვალნენ. ეს წელი მწუხარების წლად გამოცხადდა.



მეჰმედი და სალიჰი ნაკადულში წარმოქმნილ პატარა ტბებში ბაყაყებს ათვალიერებდნენ. მუსტაფა მასწავლებელთან შეკრებილები რომ შენიშნეს მათაც მიატოვეს თამაში და მსმენელების ჯგუფს შეუერთდნენ.

თხრობა ქერიმის მამამ გააგრძელა:

- მექაში მუსლიმთა შევიწროება ისევ გრძელდებოდა. ურწმუნოები უფრო და უფრო აგრესიულები ხდებოდნენ. ამის გამო შუამავალმა პირველ ჯერზე ათი კაცი, ხოლო მეორეზე ასამდე კაცი ჰაბეშისტანში გაგზავნა.

- შუამავალიც წავიდა ჰაბეშისტანში? იკითხა სელმამ.

- არა. შუამავალი ჰაბეშისტანში არ წასულა. ის მოგვიანებით მედინაში წავიდა და ამ მოვლენას დიდი ჰიჯრა ეწოდა. ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, თქვა მუსტაფა მასწავლებელმა და გააგრძელა.



muslimgeorgia

- შუამავლის ამ ქვეყანაზე მოვლინების მიზანი ისლამის გავრცელება იყო. მას ვერანაირი პრობლემა და გაჭირვება ვერ თრგუნავდა. ერთ დღეს შუამავალი ზეიდთან ერთად ტაიფში წავიდა. ტაიფელები ძალიან გათამამებული ხალხი იყო. მათ არც მოუსმინეს შუამავალს და ქვები ესროლეს. ამ ინციდენტის დროს სახეც კი დაუზიანეს. ზეიდი კი შუამავლისკენ ნასროლ ქვებს ეფარებოდა და საკუთარ სხეულზე იღებდა. ამის მიუხედავად ნასროლი ქვები მაინც აღწევდა შუამავლის სხეულამდე. შუამავალი ამ დროს ღმერთს ევედრებოდა: "ღმერთო, უძლური და უსასოო დავრჩი. ჩემი უიმედო მდგომარეობა მხოლოდ შენ უნდა შეგჩივლო. ჭეშმარიტად ძლიერი მხოლოდ შენ ხარ. მხოლოდ შენ იხსნი ადამიანებს ყოველგვარი ბოროტებისგან."

- როგორც ხედავთ შუამავალი ძალიან შემწყნარებელი იყო. ამგვარი ტანჯვის მიუხედავად თავდამსხმელები არც დაუწყევლია. ეს იმიტომ, რომ ის წყალობისა და სიყვარულის შუამავალი იყო.



ბავშვები შუამავლის სიკეთითა და შემწყნარებლობით აღფრთოვანებული იყვნენ.

ეს რა კარგი ადამიანი და შუამავალი ყოფილაო, ამბობდნენ.

- მოდით, ახლა ვითამაშოთ, დაუძახა ბავშვებს მუსტაფა მასწავლებელმა.

გოგონები დედებთან დარჩნენ და მხიარული საუბარი გააბეს, ხოლო სხვა ბავშვები ნაკადულში მოჭყუმპალავე ბაყაყებს აედევნენ.

